

## სისტემისა და სტრუქტურის ცნებისათვის ქართველურ ენათმეცნიერებაში

**აბსტრაქტი:** აღმოსავლურ თუ დასავლურ ქართველურ მეტყველებებში სტრუქტურულ ელემენტთა ცვლა (უმეტეს შემთხვევაში) უფლებას არ გვაძლევს, ვილაპარაკოთ სისტემურ სხვაობებზე. შესაბამისად, სამი-ოთხი ქართველური ენობრივი სისტემის არსებობის თეორიას ლინგვისტური საფუძველი არ გააჩნია, - არ არსებობს არგუმენტები, რომლის მხედვეთაც მეგრულ-ლაზური, სვანური მეტყველებები დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია. ანუ, არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ეს მეტყველებები სისტემური (და სტრუქტურულიც) თვალსაზრისით გასული არიან საერთო, ქართველური სისტემიდან.

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლაღქმა, წოდებითი, დედამთილი, დიანთილი, დამთირე, დიმთილ; მამამთილი, მუანთილი, მთირი, მიმთილ.

ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა და მისმა მთავარმა იარაღმა, ბგერათშესატყვისობამ გასულ საუკუნეებში ბევრი საინტერესო ნაშრომი შესძინა ქართველოლოგიას. ამავე დროს, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში წამოყენებული თვალსაზრისი, - ენა არის „მსოფლაღქმა“ - ბოლშევიკური იდეოლოგიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან, 1. მასში არ ჩანდა ხალხი, 2. იგი კაპიტალისტურ სამყაროში შეიქმნა.

ენის დანიშნულების საკითხში საბჭოთა ენათმეცნიერებამ წინ წამოსწია გაგებინების, კომუნიკაციის ფაქტორი და დაივიწყა ენობრივი სისტემით აზრის წარმოქმნის პროცესი, რაც ეთანადებოდა „მსოფლაღქმას“. შედეგად მივიღეთ ისეთი ვითარება, როცა, ვთქვათ, მარის, დეეტერსის, შუხარდტისთვის... თუ რომელიმე ქართველური ზეპირი მეტყველება რომელიმე კომპონენტით განსხვავდებოდა სალიტერატურო ენისგან, ის ცხადდებოდა დამოუკიდებულ

ენობრივ ერთეულად და ყურადღების მიღმა რჩებოდა ენობრივი სისტემების მონაცემები. ასე დამკვიდრდა ქართველური ენების ცნება, რაც ამოსავალშივე მცდარი „თეორია“ გახლდათ<sup>1</sup>.

დედამიწაზე არსებული ნებისმიერი ცოცხალი თუ არაცოცხალი წარმონაქმნი ორი კომპონენტისგან შედგება,- როგორი სისტემით არის აგებული და რომელი სტრუქტურული მასალა გამოყენებული. საილუსტრაციოდ სხვადასხვა ტიპის მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ,- რისგან შედგება რომელიმე ქვა და რა არის მისი სიმკვრივის საფუძველი? რომელი კომპონენტებისგან შედგება ესა თუ ის ხე და ეს კომპონენტები როგორ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული? და ბოლოს, ერთი მხრივ, ადამიანების ანატომიური ნაწილები და, მეორე მხრივ, ამ ნაწილების უკუკავშირი. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, სისტემა და სტრუქტურა გამოიყვანული არ არის, რაც ენობრივი მასალის კვალიფიკაციის შემთხვევაში არაერთი უზუსტობის წყაროა.

არაერთი ენობრივი მაგალითის დამოწმება შეიძლება, რომლებიც ნათლად წარმოადგენენ სისტემისა და სტრუქტურის ცნებათა განსხვავებულ მნიშვნელობას,- მორფოსინტაქსური სტრუქტურული ელემენტი, მიმართვის ფორმა, რომელიც აკაკი შანიძემ ბრუნვათა რიგში შეიტანა „წოდებითი ბრუნვის“ სახელით, წინადადების წევრი არ არის და ვერც სინტაქსურ ურთიერთობას ამყარებს რომელიმე წევრთან. შესაბამისად, იგი ვერ იქნება სახელის ფორმაცვალების ნიმუში და ბრუნვათა რიგში ვერ ჩაჯდება. ამის შესახებ კრიტიკული აზრი გამოთქმული აქვს ვარლამ თოფურიას. საინტერესოა აქ ისიცაა, რომ „წოდებითი ბრუნვა“ არა აქვს მეგრულ-ლაზურ-სვანურ მეტყველებებს. მიმართვის სტრუქტურული სახე აქ ფუძის ფორმით არის წარმოდგენილი, სისტემის თვალსაზრისით კი - წინადადებისგან გამოყოფილია.

მორფოლოგიური მაგალითი, - ჩვენებითობისა და ორიენტაციის კატეგორიები სალიტერატურო ენასა და ადმოსავლურ მეტყველებებში სამწევრა სტრუქტურით არის

---

<sup>1</sup> შენიშვნა: 1910 წელს ნიკო მარმა გამოსცა თავისი „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, რომელის ნიჭიერი ზერელობის ნიმუშია. მას ჯერ არ ჰქონდა ი. ყიფშიძის საენათმეცნიერო ნაშრომი „მეგრულის გრამატიკა“ ტექსტებითა და ლექსიკონით, რომელიც 1914 წელს დაიბეჭდა. მიუხედავად ამისა, ნ. მარი აკეთებს დასკვნას, რომ ჭანური (ლაზური) ცალკე დამოუკიდებელი ენაა. შემდეგ, გასული საუკუნის 60-იან წლებში ზოგმა ქართველმა ენათმეცნიერმა სისტემის საკითხების უგულველყოფით გაიზიარა ნ. მარის თვალსაზრისი და „ქართველურ ენათა“ სამწევრა ოჯახი ოთხწევრად აქცია ყოველგვარი არგუმენტების გარეშე.

წარმოდგენილი,- **ეს, ეგ, ის**. მეგრულ მეტყველებას შემორჩა ამოსავალი, ორწევრა ფორმა,- **თენა, თინა** (ამჟამად შეინიშნება მესამე წევრის ჩამოყალიბების პროცესი,- თენა, ეთინა, თინა.) **სისტემის მოთხოვნებს** ერთნაირად ემორჩილება ყველა ქართველური მეტყველება, სხვაობას ქმიან **სტრუქტურული** ელემენტები. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენებით ნაცვალსახელთა ფორმაცვლების სისტემური ერთიანობა და, ამავე დროს, სტრუქტურული განსხვავებულობა,- ფორმაცვლების დროს სალიტერატურო ენა ძირმონაცვლე ელემენტებს წარმოგვიდგენს (**ის, მან...**), მეგრული მეტყველება აქაც ამოსავალ, ერთძირიან ფორმებს ინარჩუნებს, (**თინა, თიქ, თის**).

სისტემისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართების საჩვენებლად არაერთ მაგალითს გვაწვდის ლექსიკური ფონდი. ნათესაური ტერმინებიდან საინტერესოდ გამოიყურება **დედამთილი, დიანთილი, დამთირე, დიმთილ; მამამთილი, მუანთილი, მთირი, მიმთილ** ფორმები. **სისტემის სიტყვათქმნადობის** თვალსაზრისით აქ სრული ერთიანობაა, - ყველა ფორმა ორფუძიანობას ემყარება. გამონაკლისი ლაზური **მთირია**, რომელიც გამარტივებულია თურქულის ზეგავლენით. **სტრუქტურის** მიხედვით **მთირ** და **მთილ** ფორმებზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული (იხ. ყიფშიძე; ჩიქობავა; ფენრიხი, სარჯველაძე) საფიქრებელია, რომ ი. ყიფშიძის თვალსაზრისი, **მთირი (>მთილი)** ელემენტის **თირუასგან** მომდინარეობაზე სინამდვილესთან ახლოს იყოს (შდრ. ჩიქობავა 1938: 39). ტერმინის შინაარსიც ამას უწყობს ხელს,- **დიანთილი, დამთირე . . . „დედის ნაცვალი“**. **სტრუქტურული** ცვლილებები აქ ფონეტიკური ხასიათისაა, რაც ადვილი ასახსნელია. მეგრულ-ლაზურ-სვანურ მეტყველებებში ამ ტერმინებს ორმაგი დატვირთვა აქვს, - **დიანთილი** და **დინთილია...** გამოიყენება როგორც **დედამთილ, მამამთილის**, ისე **სიდედრი, სიმამრის** მნიშვნელობით. **სისტემური** თვალსაზრისით **სიდედრი, სიმამრი** მეორეული, გვიან გაჩენილი ფორმებია. ამოსავალი ვითარება აქაც მეგრულ-ლაზურ-სვანურ მეტყველებებს აქვს შენარჩუნებული. შეადარეთ, „ვეფხისტყაოსანში“ **სული** და **სუნი** ერთი **სული** ფორმით აღინიშნება ისევე, როგორც ეს მეგრულ მეტყველებაში გვაქვს,- **შური** სულიცაა და სუნიც.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტი,- ენობრივი სისტემების რეალიზაცია, როგორც ცნობილია, ორი სახით ხდება,- **წერილობით** და **ზეპირი** მეტყველებებით. სისტემურ ცვლილებებს იშვიათად თუ იწვევს რომელიმე მათგანი. სტრუქტურული ელემენტები-კი გადასხვაფერდება ზეპირი მეტყველებების მიხედვით. ამასთან, ზეპირი მეტყველების ყველა

სახეობა ემყარება სათანადო გეოგრაფიული (საცხოვრებელ) გარემოს, მასთან შეჩვეულ-შეგუებულ ფონეტიკურ წესებს. ამის თვასაჩინო მაგალითია სვანურ, ხევსურულ, თუშურ მეტყველებებში, სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა წინა ხმოვანზე ძლიერი მახვილის ზეგავლენით.

#### **ლიტერატურა:**

ჰ. ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, 2000.

ი. ყიფშიძე, *რჩეული თხზულებანი*, 1994.

არნ. ჩიქობავა, *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, 1938.